



პრესრელიზი

ბავშვები ხელნაწერების სამყაროში

14 იანვარს, 16:00 საათზე, კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3) მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის გაიმართება საახალწლო ღონისძიება.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არაერთხელ დახმარებია მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და წელს უკვე მასპინძლობს უფრო მასშტაბურ საახალწლო ზღაპარს. ღონისძიების ფარგლებში, ბავშვები ჩაერთვებიან სხვადასხვა სახალისო და საგანმანათლებლო აქტივობებში. სპეციალურად მათთვის მომზადდა ხელნაწერებში არსებული ორნამენტების მიხედვით ნაძვის ხის სათამაშოები, ბავშვები კი ამ ორნამენტებს მორთავენ და მოხატავენ. ასეთი გზით მათ დაამახსოვრდებათ თუ როგორი აფორმებდნენ შუა საუკუნეებში ხელნაწერებს და როგორი ორნამენტები გამოიყენებოდა ამისათვის.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია ბავშვებს გავაცნოთ უნიკალური ხელნაწერები და მათი ისტორია, რომელიც ინტეგრირებული იქნება სახალისო თამაშებში. მნიშვნელოვანია, რომ თამაშებში ჩართული შემეცნებითი ელემენტები იქნება ბავშვებისთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი.

ღონისძიების განხორციელებაში ცენტრს გვერდით უდგას ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია „ბარამბო“, და საბავშვო სათამაშოების მაღაზია „ჭიტა“. ცენტრი მადლობას უხდის მათ თანადგომისთვის.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის ქართული ხელნაწერების უდიდესი საცავი მსოფლიოში. მას ორი უმთავრესი მიმართულება აქვს - ხელნაწერების დაცვა-აღრიცხვა და მათი მეცნიერული კვლევა. არანაკლებ მნიშვნელოვანი სფეროა ცენტრში დაცული უნიკალური მასალის პოპულარიზაცია და მისი გამოყენება საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიზნით. სწორად აღნიშნული მისიის აღსასრულებლად, დაიგეგმა საბავშვო ღონისძიება, რათა ეს ორი, ბავშვისთვის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ერთმანეთში ორგანულად იყოს შერწყმული.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge